საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოჯიაშვილი უშანგი ივანეს ძე

უ. გოჯიაშვილი

გოჯიაშვილი უშანგი ივანეს ძე (4. XI. 1933, დაბა თიანეთი, – 2007, სოჭი), სამთო ინჟინერი. ტექ. მეცნ. კანდიდატი (1973), საქართვ. დამს. ინჟინერი (1976). 1957 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი. 1957–65 მუშაობდა დონბასში (უკრაინა) შახტების მშენებლობაზე, 1965–86 – ენგურჰესის მშენებლობაზე. 1981–86 იყო ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს მთ. ინჟინერი, 1986–88 – საქართვ. საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე, 1988–97 – „თბილმეტრომშენის" გენ. დირექტორი, 1997–2000 – „თბილმეტრომშენის" უფროსის მოადგილე და „თბილმეტრომშენის" ეკატერინბურგის ფილიალის ხელმძღვანელი. 2000–03 მუშაობდა ქ. სოჭში №44 საგვირაბო რაზმის მთ. ინჟინრად. 2003-იდან იყო ამავე რაზმის მთ. ტექნოლოგი და გენ. დირექტორის მრჩეველი. 1988 მიენიჭა სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია, 1993 – საქართვ. სახელმწ. პრემია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

შ. ნემსაძე